

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერის
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
ფინანსური ანგარიშგება	4
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
ძირითადი საქმიანობა:	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
მომზადების საფუძველი	9
სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები	15
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

ზოგადი ინფორმაცია

დასახელება: შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 445383193

მისამართი: ქ. ბათუმი, ქიქავას 7.

დაარსების თარიღი: 21 იანვარი 2010 წელი.

კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „აგრესტონ ჰოლდინგი“.

კომპანიის დირექტორი: გელა რუსიეშვილი - უფლებამოსილი პირი.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევასა და მის გამოყენებაზე;
- სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით ინფორმაციის წარდგენაზე იმ ფორმით, რომელიც გვაწვდის რელევანტურ, სარწმუნო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოწოდებაზე, მაშინ, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაიგოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და ფინანსური წარმადობის გავლენა;
- შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ასევე, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების შენარჩუნებაზე, რომელიც საკმარისია კომპანიის ტრანზაქციების საჩვენებლად და ნებისმიერ დროს, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გონივრული სიზუსტით განმარტებისთვის და, რომელიც საშუალებას აძლევს მათ უზრუნველყონ ის, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები ფასს-ებთან შესაბამისობაშია
- ადგილობრივ კანონმდებლობასთან და საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისად სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოებაზე;
- იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც გონივრულად ხელმისაწვდომია კომპანიის აქტივების დასაცავად;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენციასა და გამოვლენაზე.

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2019 GEL	2018 GEL
ბრუნვა		3.334.591	4.115.783
თვითღირებულება	9	(2.469.870)	(2.581.464)
მოგება		864.721	1.534.319
სხვა შემოსავალი	8	344.061	302.431
ადმინისტრაციული ხარჯი		(966.089)	(1.445.466)
საოპერაციო მოგება		242.693	391.284
წმინდა ფინანსური ხარჯი	11	(404.662)	(72.164)
მოგება დაბეგვრამდე		(161.969)	319.120
მოგების გადასახადი	12	(84)	(157)
წმინდა მოგება		(162.053)	318.963
სხვა შემოსავალი		-	-
წლიური წმინდა მოგება		(162.053)	318.963

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

დირექტორი: გელა რუსიშვილი

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2019 GEL	2018 GEL
ბრუნვა		3.334.591	4.115.783
თვითღირებულება	9	(2.469.870)	(2.581.464)
მოგება		864.721	1.534.319
სხვა შემოსავალი		344.061	302.431
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(966.089)	(1.445.466)
საოპერაციო მოგება		242.693	391.284
წმინდა ფინანსური ხარჯი	11	(404.662)	(72.164)
მოგება დაბეგვრამდე		(161.969)	319.120
მოგების გადასახადი	12	(84)	(157)
წმინდა მოგება		(162.053)	318.963
სხვა შემოსავალი		-	-
წლიური წმინდა მოგება		(162.053)	318.963

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“
დირექტორი: გელა რუსიეშვილი



შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	2019 GEL	2018 GEL
ძირითადი საშუალებები	14		
მატერიალური აქტივები		77. 413	108.455
სარგებლობის უფლების მქონე აქტივები		2. 815. 748	-
არამატერიალური აქტივები	15	5. 447	8.886
		<u>2. 898. 608</u>	<u>117.341</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	16	498. 029	622.144
სავაჭრო მოთხოვნები	17	187. 080	312.824
საგადასახადო მოთხოვნები		10. 846	7.433
ფული და ფულის ექვივალენტები	18	1. 838. 437	2.422.187
		<u>2. 534. 392</u>	<u>3.364.588</u>
მთლიანი აქტივები		<u>5. 433. 000</u>	<u>3.481.929</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	19		
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		2. 154. 916	3.387.049
საერთო კაპიტალი		<u>2. 155. 016</u>	<u>3.387.149</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები	20	144. 542	94.780
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები		111. 885	-
		<u>256. 427</u>	<u>94.780</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა		3. 021. 557	-
ჯამური კაპიტალი და ვალდებულებები		<u>5. 433. 000</u>	<u>3.481.929</u>

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

დირექტორი: გელა რუსიშვილი

შპს „ქართული სალომონოტივო კომპანია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	2019 GEL	2018 GEL
ძირითადი საშუალებები			
მატერიალური აქტივები	14	77. 413	108.455
სარგებლობის უფლების მქონე აქტივები		2. 815. 748	-
არამატერიალური აქტივები	15	5. 447	8.886
		<u>2. 898. 608</u>	<u>117.341</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	16	498. 029	622.144
სავაჭრო მოთხოვნები	17	187. 080	312.824
საგადასახადო მოთხოვნები		10. 846	7.433
ფული და ფულის ექვივალენტები	18	1. 838. 437	2.422.187
		<u>2. 534. 392</u>	<u>3.364.588</u>
მთლიანი აქტივები		<u>5. 433. 000</u>	<u>3.481.929</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	100	100
გაუნაწილებელი მოგება		2. 154. 916	3.387.049
საერთო კაპიტალი		<u>2. 155. 016</u>	<u>3.387.149</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები	20	144. 542	94.780
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები		111. 885	-
		<u>256. 427</u>	<u>94.780</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა		3. 021. 557	-
ჯამური კაპიტალი და ვალდებულებები		<u>5. 433. 000</u>	<u>3.481.929</u>

შპს „ქართული სალომონოტივო კომპანია“
დირექტორი: გელა რუსიშვილი




შპს „ქართული სალომომოტივო კომპანია“

ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	შენიშვნა	2019 GEL	2018 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		(162. 053)	318.963
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	14	203. 384	259. 918
ჩამოწერის ხარჯი		-	-
საკურსო სხვაობა		370. 340	99.325
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	15	-	3.440
მოგება აქტივების გაყიდვიდან		(257. 166)	(286.741)
საპროცენტო შემოსავალი	11	(34. 264)	(60.033)
საკურსო სხვაობა-		-	-
		<u>120. 239</u>	<u>335.029</u>
საბრუნავი კაპიტალის სხვაობა			
მოგების შემცირება		124. 116	145. 322
სავაჭრო დავალიანების შემცირება		125. 779	(95.862)
სხვა დებიტორული დავალიანების სხვაობა		47. 749	(1.432)
გადასახადის შემცირება/ზრდა		<u>(3. 413)</u>	<u>12.428</u>
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
საპროცენტო შემოსავლები		34. 264	-
ლიზინგი (ფინანსური იჯარა)		(185. 373)	-
ანაზღაურებადი საკომისიო		(987)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		<u>262. 374</u>	<u>395.485</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გადახდები არამატერიალური აქტივებისთვის	15	-	-
გადახდები მატერიალური აქტივებისთვის		(1. 629)	(429)
შემოსავლები მატერიალური აქტივების გაყიდვებიდან	14	257. 165	444.553
საპროცენტო შემოსავლები		-	60.033
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		<u>255. 536</u>	<u>504.157</u>
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები			
დივიდენდის გადახდა		(1. 070. 079)	(4.499.820)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(102. 146)	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		<u>(1. 172. 225)</u>	<u>(4.499.820)</u>
ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა/შემცირება		(654. 315)	(3.600.178)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში		2. 422. 187	6.121.690
საკურსო სხვაობები		<u>70 565</u>	<u>(99.325)</u>
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	18	<u>1. 838. 437</u>	<u>2.422.187</u>

შპს „ქართული სალომომოტივო კომპანია“

დირექტორი: გელა რუსიშვილი

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	2019 GEL	2018 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	(162. 053)	318.963
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	14 203. 384	259. 918
ჩამოწერის ხარჯი	-	-
საკურსო სხვაობა	370. 340	99.325
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	15 (257. 166)	3.440
მოგება აქტივების გაყიდვიდან	(257. 166)	(286.741)
საპროცენტო შემოსავალი	11 (34. 264)	(60.033)
საკურსო სხვაობა-	-	-
	120. 239	335.029
საბრუნავი კაპიტალის სხვაობა		
მოგების შემცირება	124. 116	145. 322
სავაჭრო დავალიანების შემცირება	125. 779	(95.862)
სხვა დებიტორული დავალიანების სხვაობა	47. 749	(1.432)
გადასახადის შემცირება/ზრდა	(3. 413)	12.428
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		
საპროცენტო შემოსავლები	34. 264	-
ლიზინგი (ფინანსური იჯარა)	(185. 373)	-
ანაზღაურებადი საკომისიო	(987)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	262. 374	395.485
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდები არამატერიალური აქტივებისთვის	15 -	-
გადახდები მატერიალური აქტივებისთვის	(1. 629)	(429)
შემოსავლები მატერიალური აქტივების გაყიდვებიდან	14 257. 165	444.553
საპროცენტო შემოსავლები	-	60.033
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	255. 536	504.157
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		
დივიდენდის გადახდა	(1. 070. 079)	(4.499.820)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(102. 146)	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(1. 172. 225)	(4.499.820)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა/შემცირება	(654. 315)	(3.600.178)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	2. 422. 187	6.121.690
საკურსო სხვაობები	70 565	(99.325)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	18 1. 838. 437	2.422.187

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“
დირექტორი: გელა რუსიეშვილი



შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი GEL	გაუნაწ. მოგება GEL	ჯამი GEL
ბალანსი 01.01.18	100	7.567.906	7.568.006
წლის მოგება	-	318.962	318.962
დივიდენდი		(4. 499. 820)	(4. 499. 820)
ბალანსი 31.12.18/ 01.01.19	100	3.387.048	3.387.148
წლის ზარალი	-	(162. 053)	(162. 053)
დამფუძნებლებზე ტრანზაქციები			
დივიდენდი	-	(1. 070. 079)	(1. 070. 079)
ბალანსი 31.12.19	100	2. 154. 916	2. 155. 016

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“


დირექტორი: გელა რუსიშვილი

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი GEL	გაუნაწ. მოგება GEL	ჯამი GEL
ბალანსი 01.01.18	100	7.567.906	7.568.006
წლის მოგება	-	318.962	318.962
დივიდენდი		(4. 499. 820)	(4. 499. 820)
ბალანსი 31.12.18/ 01.01.19	100	3.387.048	3.387.148
წლის ზარალი	-	(162. 053)	(162. 053)
დამფუძნებლებზე ტრანზაქციები			
დივიდენდი	-	(1. 070. 079)	(1. 070. 079)
ბალანსი 31.12.19	100	2. 154. 916	2. 155. 016

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“
დირექტორი: გელა რუსიეშვილი




შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“
ძირითადი საქმიანობა:

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარი თბომავლებით ადგილობრივი მომსახურება სადგურ „ბათუმში“.

2011 წლის 5 ოქტომბრიდან შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანიასა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის გაფორმდა ბათუმის სალოკომოტივო დეპოს ტერიტორიის და შენობა - ნაგებობების 25 წლიანი იჯარის ხელშეკრულება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მომსახურების სფერო, კერძოდ სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების ადგილობრივი მომსახურება ბათუმის სატვირთო სადგურში. ჩვენს მიერ ხდება ექსპედიტორის მიერ მითითებული ვაგონების მიწოდება-გამოყვანა სადგურ ბათუმიდან დაცლა/დატვირთვის ფრონტზე და მასთან დაკავშირებული სამანევრო სამუშაოები. ტვირთების გადაადგილება ხდება სამანევრო თბომავლებით. კომპანიის საკუთრებაშია 9 თბომავალი, 4 თბომავალი- ЧМЕ და 5 თბომავალი - ТЭМ. ყველა თბომავალი გამოშვებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ადგილობრივი მომსახურება ნიშნავს, რკინიგზის ტრანსპორტით ბათუმის სატვირთო სადგურში შემოსული ტვირთების თბომავლით მიწოდება-გამოყვანას ბათუმის ნავთობის ტერმინალში და ბათუმის საზღვაო პორტში, საბორნე გადასასვლელის მომსახურება, საკონტეინერო ტერმინალის მომსახურება, რკინიგზის სატვირთო ეზოს მომსახურება, ბათუმის რკინიგზის სადგურის სავაგონო პარკში სამანევრო სამუშაოების შესრულება (შემოსული ვაგონების დახარისხება, მატარებლების დაშლა/შედგენა).

მომსახურებას ვახდენთ სხვადასხვა კომპანიებზე წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანიები აგრეთვე აფორმებენ ხელშეკრულებას საექსპედიციო კომპანიებთან და რკინიგზასთან (რკინიგზასთან ძირითადად ფორმდება ზედდებული, რომელიც ხელშეკრულების ტოლფასია).

სადგურ ბათუმში სამანევრო მოქმედებები ხდება სს „საქართველოს რკინიგზის“ დისპეჩერის მითითებით.

მომსახურების ტარიფის დარიცხვა ხდება სს საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის მიხედვით.

კომპანიას ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით აქვს გაცემული 2 თბომავალი.

დამატებითი საქმიანობა:

პერიოდულად კომპანია ახდენს მარაგ-ნაწილების რეალიზებას და მოთხოვნის შესაბამისად სხვა კომპანიის თბომავლებზე სხვადასხვა სახის რემონტის ჩატარებას.

კომპანია ანგარიშებას აწარმოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური აღრიცხვა სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მომზადების საფუძველი

ჯომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ისტორიული ღირებულების მეთოდით და დარიცხვის მეთოდით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა. კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია: 31.12.2019 და ის მოიცავს 2019 წელს. დაცულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ძირითადი დაშვება - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად.

მარაგები:

კომპანია იყენებს მარაგების აღრიცხვის „ფიფო“ მეთოდს.

შემენილი საქონელი აღრიცხულია მათი შემენის ფაქტობრივი ღირებულებით;

- საწარმოში წარმოებული საქონელი აღრიცხება საწარმოს შემენის ღირებულებით;

წლის ბოლოს ატარებს მარაგების ინვენტარიზაციას, ფაქტობრივი და საბუღალტრო მონაცემების შედეგების შედარების შედეგად ხდება სხვაობების აღრიცხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მატერიალური და არამატერიალური აქტივები (ძირითადი საშუალებები):

შემენილი ძირითადი აქტივები აღრიცხულია მთავარ წიგნში მათი შემენის თვითღირებულებით, რომელშიც შედის: შესყიდვის ფასი, იმპორტის გადასახადი, შეუქცევადი გადასახადები, ტრანსპორტირების სხვა პირდაპირი ხარჯები, მონტაჟი და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა;

- საკუთარი რესურსებით შექმნილი ძირითადი აქტივები აღრიცხულია მათი შემენის ფაქტობრივი ღირებულებით;

- იჯარის შედეგად მიღებული ძირითადი აქტივების კეთილმოწყობა აღრიცხულია ქონების რეალური ღირებულებით;

- ფინანსური ანგარიშის აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

- მატერიალური და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა 4 წელია.

- ლოკომოტივების ამორტიზაციის ნორმა განსაზღვრულია 16% -ით (საგადასახადო კოდექსში მითითებული თანხის ორმაგი).

კომპანია იყენებს შიდა კონტროლის მექანიზმებს მარაგების, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვისა და ხარჯებისათვის, რომელსაც მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას.

მოთხოვნები:

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღრიცხება ნომინალური ღირებულებით.

- მოთხოვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშში წმინდა (მოსალოდნელი ანაზღაურება) ღირებულებით.

- უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაიანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

მოთხოვნა აღიარდება მომსახურების/საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ვალდებულებები:

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღრიცხება იმ ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს საზოგადოებამ;

. საგადასახდო ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახდის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახდით დასაბეგრ ოპერაციებზე.

ფულადი სახსრები:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს. თანხები მოცემულია ნომინალური ღირებულებით. უცხოური ვალუტით მიღებული სახსრები აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში გადმორიცხვის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ციფრი შედგება ფულადი სახსრებისგან ბანკში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალი

- კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, რეზერვებს და მოგებას, რომელიც არ არის განაწილებული მიმდინარე და გასული წლების განმავლობაში.
- საწესდებო კაპიტალის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წმინდა მოგების განაწილება

- დივიდენდების გაცემა.

შემოსავალი და ხარჯები

- შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. შემოსავლების აღიარება ხდება ფაქტობრივად განხორციელების პერიოდით, მიუხედავად თანხის შემოსვლის თარიღისა. შემოსავლები რეგისტრირებულია და მოცემულია ანგარიშში წმინდა თანხით.
- ხარჯები აღიარებულია დარიცხვის კონცეფციის შესაბამისად. ხარჯები მიეკუთვნება პერიოდს, როდესაც მოხდა ფაქტობრივად და არა მაშინ როდესაც მოხდა ფულის გადინება.
- შემოსავლები აღიარებულია და მოცემულია ფინანსურ ანგარიშში, მათი წყაროების მიხედვით.
- ხარჯები აღიარებულია და მოცემულია ფინანსურ ანგარიშში, მათი ფუნქციური მიზნის შესაბამისად; შემოსავალი წარმოადგენს იმ თანხის ოდენობას, რომლითაც კომპანია ელოდება უფლებამოსილებას მომხმარებელზე დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარის სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადები).
- კომპანია ცნობს შემოსავალს, როდესაც მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, ზეპირად ან სხვა ჩვეულებითი ბიზნეს პრაქტიკის შესაბამისად) და ვალდებულნი არიან

შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, კომპანიას შეუძლია დაადგინოს თითოეული მხარის უფლებები და საქონლის ან მომსახურების გადახდის პირობები.

კომპანია აფასებს თავის შეფასებებს ისტორიული შედეგების გათვალისწინებით, მომხმარებლის ტიპის, გარიგების ტიპისა და თითოეული შეთანხმების სპეციფიკის გათვალისწინებით. შეფასებისას, რამდენად შესაძლებელია საგადასახადო თანხის შეგროვება, კომპანია განიხილავს მხოლოდ დამკვეთის შესაძლებლობას და განზრახვას, გადაიხადოს ეს თანხა, როდესაც ეს მოხდა.

ამონაგები. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. საქონლის გაყიდვიდან ამონაგები აღიარებულია ხელშეკრულებაში დადგენილი ფასით.

მომსახურების გაწევა

გადახიდვების სერვისების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარებულია მომსახურების გაწევისას. შემოსავალი ფასდება მომხმარებელთან ხელშეკრულებაში მითითებული გათვალისწინების საფუძველზე და გამორიცხავს მესამე პირების სახელით შეგროვებულ თანხებს.

იჯარის შემოსავალი

ლოკომოტივების იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დარიცხვის საფუძველზე, შესაბამისი ხელშეკრულებების შინაარსის შესაბამისად.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი.

ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს, რომელიც აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროის პროპორციულად, ეფექტური მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ან შემდგომში ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქმედი კანონმდებლობით, მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე არ იბეგრება მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

- მოგების გადასახადი ერიცხება ფინანსურ საქმიანობასთან არადაკავშირებულ ხარჯებს და აისახება როგორც საგადასახადო ხარჯები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა, დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური რისკის მართვა.

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და

იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საპროცენტო განაკვეთში უარყოფითი მოძრაობის გავლენა კომპანიის ფინანსურ პოზიციებზე, რაც გამოიხატება მოზიდულ თანხებთან მიმართებაში საპროცენტო ხარჯების ზრდით ან განთავსებული თანხებისგან მიღებული მოგების შემცირებით. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობის უნდა იყოს კომპანიის ფიქსირებულ თუ ცვლად განაკვეთებზე რისკისადმი დაქვემდებარება.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ ახერხებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

სამართალწარმოება. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სამართალწარმოების პროცესში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შენიშვნა 8.

კომპანიის ძირითად შემოსავალს განაპირობებს მომსახურების გაწევა.

	2019 GEL	2018 GEL
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	3. 290.993	4. 097. 492
შემოსავლები რემონტებიდან და სხვა	43. 598	18. 291
	<u>3. 334. 591</u>	<u>4. 115. 783</u>

შენიშვნა 9.

თვითღირებულების ხარჯი

	2019 GEL	2018 GEL
საქართველოს რკინიგზის ხარჯი	1. 493. 578	1. 633. 573
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯი	594. 773	563. 575
იჯარის ხარჯი	-	259. 684
რემონტის და მასთან დაკავშირებული ხარჯები	197. 706	165. 607
ცვეთა და ამორტიზაცია	167. 272	169. 522
სხვა	16. 541	49. 187
ჯამი	<u>2. 469. 870</u>	<u>2. 841. 148</u>

შენიშვნა 10.

კომპანიის ძირითად შემოსავალს განაპირობებს მომსახურების გაწევა.

	2019 GEL	2018 GEL
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან (შენიშვნა 14)	257. 167	286.741
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18. 307	15.690
	<u>302.431</u>	<u>302.431</u>

შენიშვნა 11.

	2019 GEL	2018 GEL
საპროცენტო შემოსავალი	34.264	60.033
ფინანსური შემოსავალი	34.264	60.033
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(252.567)	(130.931)
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	(185.373)	-
სხვა ფინანსური ხარჯები	(987)	(1.695)
ფინანსური ხარჯი:	(438.927)	(132.626)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(404.662)	(72.593)

შენიშვნა 12.

	2019 GEL	2018 GEL
მოგების გადასახადი	84	157
წლიური მოგების გადასახადი	84	157

შენიშვნა 14

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებისას შეფასებულია თვითღირებულებით. გამოყენებულია ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. აქტივების მომსახურების სასარგებლო ვადა განსაზღვრულია 4 წელი. ლოკომოტივების - 6,25 წელი. (16% წლიური).

	ლოკომოტივები	დანადგარები და არჭურვილობა	ავტომანქანები	ავეჯი და ინვენტარი	სხვა	ჯამი
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
ღირებულება 01.01.18-ის მდგომარეობით	7796543	187690	356610	179182	331959	8851984
დაგროვილი ცვეთა	-7626752	-98993	-144618	-152685	-302752	-8325800

საბალანსო ღირებულება 01,01,18 მდგომარეობით	169791	88697	211992	26497	29207	526184
განკარგვა	-207361	-29965	-250157	-7632	0	-495115
ცვეთის ხარჯი	-169522	-7100	-60681	-7649	-14966	-259918
განკარგვის ცვეთა	207361	3832	120381	5730	0	337304
საკუროს სხვაობა	0	0	0	0	0	0
საბალანსო ღირებულება 31,12,18-ის მდგომარეობით	269	55464	21535	16946	14241	108455
ღირებულება 01,01,19-ის მდგომარეობით	7589182	157725	106453	171550	331959	8356869
დაგროვილი ცვეთა	-7588913	-102261	-84918	-154604	-317718	-8248414
საკუროს სხვაობა	0	0	0	0	0	0
საბალანსო ღირებულება 01,01,19-ის მდგომარეობით	269	55464	21535	16946	14241	108455
განკარგვა	-173227	-8243		-485		-181955
ცვეთის ხარჯი	0	-4074	-11037	-3320	-14241	-32672
განკარგვის ცვეთა	173227	8188	0	2170	0	183585
საკუროს სხვაობა						0
საბალანსო ღირებულება 31,12,19-ის მდგომარეობით	269	51335	10498	15311	0	77413

შენიშვნა 15.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია 4 წელი.

	არამატერიალური აქტივი	ჯამი
ნარჩენი საბალანსო 1 იანვარი 2019 წ.	8886	8886
შემოსავალი	0	0
გასვლა		0
აქტივის ღირებულება 31 დეკემბერი 2019 წ.	16556	16556

დაგროვილი ცვეთა 01 იანვრის 2019 წლისმდგომარეობით	7670	7670
2019 წლიური ცვეთა	3439	3439
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019 წ.	11109	11109

საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019 წ.	5447	5447
---	------	------

ფინანსური იჯარა

	ფინანსური იჯარის თანხა	ჯამი
	GEL	GEL
საბალანსო ღირებულება 01,01,19-ის მდგომარეობით	2983021	2983021
ამორტიზაცია	-167273	-167273
საბალანსო ღირებულება 31,12,19-ის მდგომარეობით	2815748	2815748

შენიშვნა 16.

მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, ანუ მისი შეძენის ფასით.

საწვავი	2019 GEL 53.324	2018 GEL 158.013
სათადარიგო ნაწილები და სხვა მარაგები	444.704	464.131
	<u>498.028</u>	<u>622.144</u>

შენიშვნა 17.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2019 GEL	2018 GEL
სავაჭრო დებიტორები	187.080	177.117
მოთხოვნები სხვა კომპანიების მიმართ		24.342
საქვეანგარიშო მოთხოვნები		192
მომწოდებლები		111.173
	<u>187.080</u>	<u>312.824</u>

შენიშვნა 18.

ფული და ფულის ექვივალენტები

	2019 GEL	2018 GEL
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	31.786	116.227
ფულადი სახრები დეპოზიტებზე	<u>1.806.651</u>	<u>2.305.960</u>
	<u>1.838.437</u>	<u>2.422.187</u>

შენიშვნა 19.

საწესდებო კაპიტალი

	2019 GEL	2018 GEL
საწესდებო კაპიტალი	<u>100</u>	<u>100</u>

შენიშვნა 20.

	2019 GEL	2018 GEL
სავაჭრო ვალდებულებები	115.668	29.387
სხვა ვალდებულებები		50.062
დარიცხვები	<u>28.874</u>	<u>15.331</u>
	<u>144.542</u>	<u>94.780</u>

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებების შესწორებას ან განმარტებებს.

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანია“
დირექტორი: გელა რუსიშვილი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ აღგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებების შესწორებას ან განმარტებებს.

შპს „ქართული სალომომოტივო კომპანია“
დირექტორი: გელა რუსიშვილი

